№ 23 — 1917
ქვირა თიბათვის 4

ფასი 20 კ.

ფელიეტონი მეხუთე
გამოცემისა

რაბინდრანათ ტაგორე
ინდოეთის მოგვი-მგოსანი
(იხ. ამავე ნომერში წერილი „აღმოსავლეთის სიტყვა ტაგორე“)

ვატიკი

1.

აღმოსავლეთი შეიმოსა წითელ სხივებით
ცამ მობინდულმა გადიხადა შავი სუდარა;
შორით გაისმა კრიმანჭული იადონისა
და აღსდგა მკვდრეთით რაც წყვდიადმა დაასა-
მარა!..

2.

განთავისუფლდა დარეჯანი სახე-მზიანი
და ტარიელიც მობრძანდება თვისი გმირებით;
დღეს ქორწილი აქვთ,—ზურმუხტ ბაღში იხ-
დიან ზეიმს,
დღეს ჯვარს იწერენ მოდით, დასტკბით მათი
მშვენებით.

კ. ძიძაძე.

სადღეისო საუბარი

გაგათავოთომი, უანექსიო და უკონტრიბუ-ციო ზავი, ქადაგებს რუსეთის დემოკრატია.

მშვიდობა და სამართლიანობა ხალხთა შორის,—აი სარჩული ამ ქადაგებისა.

ომი სრულ გამარჯვებამდე, ზავი ანექსი-ით და კონტრიბუციით, გაიძახიან ევროპის იმპერიალისტები.

სამართლიანობას ისინი დასცინიან, მშვი-დობა მათ თავის კუჭისათვის უნდათ.

ევროპის დემოკრატია ჯერჯერობითა სდუმს.

რუსეთში ძალა და უფლება რევოლუ-ციონური დემოკრატიის ხელშია და მთელმა ევროპამ იცის უკვე როგორც უყურებს ეს დემოკრატია ომისა და ზავის საკითხს.

გერმანიაში, საფრანგეთში და ინგლისში კი ძალა და უფლება ჯერ იმპერიალიტების ხელშია. ამიტომ არავინ არ იცის იქაური დე-მოკრატია რა გზას დაადგება ახლო მომავალში.

დღეს დღევობითკი ის ძველებურად ასრუ-ლებს იმპერიალისტების ბრძანებას და ახო-რციელებს მათს გეგმას.

საფრანგეთსაც, ინგლისსაც უანექსიოთ და უკონტრიბუციოთ ზავი არ უნდათ.

რუსეთის დემოკრატიას კი უნდა.

არც საფრანგეთი, არც ინგლისი ჯერ ჯერობით არ უთმობს რუსეთის დემოკრატიას

მართალია, არის ბატარ-პატარა ნიშნები დემოკრატიის ახმაურებისა იქითაც, მაგრამ ნათქვამია: ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო.

რუსეთის დემოკრატიამ რა უნდა ჰქნას?

უნდა დაუთმოს, უღალატოს თავი სთავს და ნიკოლოზის ნაცვლათ საფრანგეთისა და ინ-გლისის იმპერიალისტებს ეყმოს?

რასაკვირველია არა.

მაშასადამე კავშირი უკვე შეწყვეტილია, რადგანაც საერთო პლატფორმა არ არსებობს და არც შეიძლება რომ არსებობდეს.

შეუძლებელია რომ იმპერიალისტები და დე-მოკრატები ომისა და ზავის საკითხის შესახებ შეთანხმდენ.

არც ჩვენ გვინდა კონტრიბუცია და ანე-ქსია, მხოლოთ ელზასლორენი დაგვიბრუნოს გერმანიამ და ზარალი აგვინაზღაუროსო, გაი-ძახიან საფრანგეთის იმპერიალისტები, თით-ქოს ერთიც და მეორეც ანექსია და კონტრი-ბუცია არ იყოს.

რუსის ხალხს არ უნდა სისხლის ღვრა.

არც რუსის სალდათს უნდა.

ამისთანა პირობებში ვის შეუძლია ომის გაგრძელება?

იმ პირს, რომელიც ჯარს ხელში დაიჭერს, დაიმორჩილებს, მოაჯადოებს და წაი-ყვანს მედგრათ, გატაცებით, სადაც უნდა.

ამისათვის საჭიროა სამხედრო ჰენიოსობა.

ასეთი პიროვნება ჯერ არა სჩანს რუ-სეთის მხედრობაში.

თუ კერენსკის ბრძანებანი სტოვებს მცი-რეოდენ შთაბეჭდილებას ეს იმიტომ რომ ჯარი გამოურკვეველ მდგომარეობაშია გერ-მანიის მხრით.

არც გერმანიის ხალხი, არც გერმანიის მთავრობა არ ამბობენ: ჩვენ არც ანექსია გვინდა, არც კონტრიბუციაო.

რომა თქვან რა მოხდება?

საფრანგეთი და ინგლისი მაინც არ აი-ღებენ ხელს ანექსიასა და კონტრიბუციაზე.

რუსეთის ჯარს-კი ვერავითარი ძალი ვე-ღარ აიძულებს, ომი განაგრძოს.

ან კი რათ უნდა განაგრძოს, ვისთვის?

საფრანგეთისა და ინგლისის იმპერიალი-სტებისათვის?

მაგრამ გერმანიის ხალხი და მთავრობა იტყვიან, ჩვენ არ გვინდა ანექსია და კონ-ტრიბუციაო? ძალიან სათუოა.

რუსეთის დემოკრატიისა და ჯარის წინაშე ამგვარათ ისმება საკითხი: განაგრძოს თუ არა ომი თვისი სურვილისა და რწმენის წინააღმდეგ.

ცხადია შემდეგი: ჯარს ომის გაგრძელე-ბა არ უნდა, ზავს ეძებს.

ამავე გზას ადგია პეტროგრადის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭო.

კერენსკი კი ცდილობს, ჯარს ნაპოლეო-ნათ მოევლინოს და ბრძანებით გარდაქმნას ის, სასწაული მოახდინოს.

კერენსკი არც ნაპოლეონია, ვერც სა-სწაულს მოახდენს.

მაშასადამე მიხი დამარცხება აუცილებელია.

ივ. გომართელი.

იქნება დედინაცვალი ხარ

„შინ რომ ბალღებსა ჰშიოდეს,
გარეთ ტაბლას რა ხელი აქვს?“

ამიხსენით რას ნიშნავს?

ვერ გამიგია!..

ნუ თუ მართლა **ქართველი** ისე გადაგვარდა, რომ თავისი მიწა-წყალიც კი ადარა სწყამს?

ადარ უნდა გაიგონოს თავის მშობლიური დედა-ენა!..

ნუ თუ უნდა დაივიწყოს ის შშობელი დედა, რომელმაც აკვნიდან თავის ძველ კაბის კალთებში აღზარდა და არწო დამთრობელი და ტკბილი „ნანინით“.

ნუ თუ ეს ამბავი და სიყვარული შესაძულებელია დაივიწყოს შვილმა?

როდესაც დავინახავ ხოლმე ჩემ გალახულ ბუჩქებს, დანგრეულ შენობებს, გულის ძგერას ადარა აქვს საზღვარი, მაგრამ რა სიხარულის გულის ძგერაა, ამის აწერა ეოველად შეუძლებელია!

უბედურო ქართველო! ნუ თუ გადაგვარდი? არა მჯერა!

ბირუტუსაც კი უყვარს თავისი ბინა-ფარეხი: დილით რომ გამოგა—სადამოზედ უსათუოთ თავის ბინას მოატანს და სიხარულით ბდავილს მოუგებს.

ნუ თუ ჩვენ იმაზე ბირუტეები ვართ? იქნება „კულტურის“ ბრალია?

არა, გადაგვარება მოდა გახლავთ; განათლებაში ფეხის ჩადგმაა...

დღეს ჩვენი სოფელი „**პოეოლუსტობით**“ დაბარაგობს.

განათლებაა, ქართული ენა რადა საჭიროა! რუსული კი რადი იცის, აბა ჭკითხეთ და მერე გამამტყუნეთ.

„ავტონომია“ რომ ახსენო, ამის გაგონებას ხუთმეტი წლის კატორდა ურჩევნია, ხანჯალზე აგაგებს.

მოდი, გამოვცვალოთ ეს გულსაკლავი „ავტანომია.“ ვერ შეჭრიგებია ამ სიტყვას (რუსული არ არის, თორემ იწამებდა.) შევცვალოთ „**თვითმართველობაზე**“ იქნება უფრო შეურიგდეს. ეველა თხოულობს თავის თვითმართველობას.

შენ რათ გიხუჭია თვალები?

ეხლა თუ ვერ გამოიდვიძებ, მერე საუკუნოთ დაიძინებ და გახდები შვილიშვილთ საკინებელი.

უკრაინელები რუსეთის ხორცი და სისხლი არიან, მარა თავიანთ ტერიტორიალურ თვითმართველობას თხოულობენ, ებრძვიან.

არ შეგეშინდეს, „ავტონომია“ ადარ გახსენ, გაგიფთხილდი.

ნუ თუ შენ არა გწამს შენი კეთილდღეობა, შენი დედენა, მართვა-გამგეობა?

ნუ თუ დაგავიწყდა დიდება „**მახსოვს პირველად**?“

ვერ გამიგია, ვერ ამიხსნია.

ნუ თუ ამდენად დავეცით, რომ ჩვენი ქართული ადარა გვწამსრა?

ნუ თუ გადაგვარების გზას დავადექით?

ნუ თუ მართალია?

როგორ უნდა გადაგვარდეს ის ქართველი—გმირი, რომელიც სიხარულით სწირავდა თავის თავს, ცოლშვილს, ქონებას თავის სამშობლოს კეთილდღეობისათვის. და ლომსავით იბრძოდა თავის მცირე კუთხის დასაცავად.

უბედურო სამშობლო-დედავ, რათ დაგზარდე ისეთი შვილები, რომელებიც ზურგს გაქცევენ სწორეთ გაჭირვეების დროს?!

იქნება დედინაცვალი ხარ და არა **დედა?**

ილ. ნაც—ლი.

რა ვიცოდი?!

რა ვიცოდი, შენის ნახვით
დამიწყებდა გრძნობა დულილს,
—შენ კი არათ მიიმჩნევდი
ჩემს ტანჯვას და გულის წუხილს?

—

რა ვიცოდი, მატყუებდი,
შემასმევდი შხამის ფიალს,
მწარ დაცინვით შეხვდებოდი
ჩემს უმანკო გულის ტრფიალს.—

—

რა ვიცოდი, ჩემს ობოლ სულს
მოასმენდი მაცდურ ნანას,
ცეცხლის ალში გახვევდი და
მიმღერებდი სულთათანას!—

ლ. ძაძიგური.

მოწოდება ქართველ მსახიობთა კავშირისა

თეატრის მნიშვნელობას განმარტება აღარა სჭირდება. ყოველმა ცოტათ თუ ბევრათ შეგნებულმა მოქალაქემ კარგათ იცის, რომ თეატრი ერთი მძლავრი კულტურული იარაღთაგანია: რომ თანამედროვე ცხოვრების საფუძველი ოთხ მთავარ ბურჯზედ უნდა იყვეს დაყრდნობილი ოჯახსა, სასწავლებელსა, სასამართლოსა და თეატრზე ანუ უფრო მოკლეთ მეცნიერებასა და ხელოვნებაზე.

ოჯახი თუ კარგა ზრდის, სასწავლებელი ლირსეულად ასწავლის, სასამართლო ნამდვილ სამართლიანობას ამყარებს და თეატრიც თუ სათანადოთ წრთვნის ადამიანის გრძნობასა და გონებას, მაშინ მოქალაქეობრივი ცხოვრებაც გმირული ნაბიჯით მიექანება პროგრესისაკენ.

მაგრამ დღეს-დღეობით ყოველივე ეს ჩამოქვეითებულია და მათ შორის ჩვენი თეატრიც, მშობლიური, ქართული თეატრიც შეუწყნარებელ პირობებში იმყოფება.

ამის მიზეზიც, როგორც ყველა სხვა თანამედროვე სიდუხჭირის, პოლიტიკური და სოციალური უსამართლობის სათავეშია.

მაგრამ ასე ცხოვრება ხომ შეუძლებელია? ხომ საშვალებას უნდა გამოძებნა?

და აი დღვანდელ დიად ხანაში, როდესაც ძირიან-ფესვიანად იცვლება მთელი რუსეთისა და კერძოთ საქართველოს ცხოვრების წესი, თეატრიც უნდა გამოვიდეს ახალ გზაზე, შექმნას ახალი პირობები, როგორც იდეური, ეგრეთვე ტეხნიკური და თვითვე მზათ დაუხვდეს ცხოვრების მძლავრ მოთხოვნილებას.

სხვა ბევრ და მთავარ საშუალებათა შორის ტეხნიკურ მხარეში ჩვენს თეატრს აკლდა თვით თეატრის მსახურთა დარაზმვა, დაწყობა და შეკავშირება ორგანიულ ერთეულად. თეატრის ყოველი მუშაკი აქამდე თავის გუნებისა, უნარისა და ძალ-ღონის მიხედვით მოქმედებდა. ამიტომაც არ იყო ერთი გარკვეული მიმდინარეობა მათ შემოქმედებაში, ერთი ზნეობრივი სახე და ერთგვარი ზრუნვა ნივთიერად თავის დაცვისა.

საჭიროება კი დიდი იყო. იდეაც შეკავშირებისა დიდი ხანია დაიბადა, მაგრამ განხორციელება მას მხოლოდ წრეულს ეღირსა.

სწორეთ ამმიზნით, წრევანდელ 1917 წ. მაისში ქალაქ თბილისს შესდგა სრულიად საქართველოს პროფესიონალ -მსახიობთა დამფუძნებელთა კრება და დაარსდა:

„ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირი“.

კავშირს მიზნათ აქვს, როგორც თვის წმინდა საპროფესიო მხარის გაუმჯობესება, აგრეთვე უმთავრესად ის, რომ თავისი მწყობრი და შეთანხმებულის მუშაობათ ხელი შეუწყოს, რამდენათაც ეს მის ძალ-ღონეზე იქნება დამოკიდებული, ქართული თეატრის მხატვრულ და იდეურ აღორძინებასა და აყვავებას.

მაგრამ ამისთვის არ კმარა მარტო ჩვენი, პროფესიონალთა შეკავშირება, მიუცილებელი საჭიროა, რომ თვით ხალხი შემოეგებოს ჩვენს გულწრფელ სურვილს და მხარი დაგვიჭიროს, როგორც ნივთიერის გამ ხნევებით, აგრეთვე ზნეობრივი დახმარებით.

ნივთიერი შემწეობა გამოიხატება იმითი, რომ ჩაეწერნენ ჩვენს კავშირში თანაგრძნობთა სახით, გაიღონ წვლილი მაშინ, როდესაც გაიმართება ჩვენი „კავშირის“ სასარგებლოთ ან რაიმე წარმოდგენა, ან საჯარო სეირნობა თუ ყულაბებით ფულის შეგროვება და სხვა.

ხოლოს ზნეობრივი მხარის დაჭერა იქნება ის, უკეთუ შემდეგ გარემოებას გამოეხმაურებიან:

ყოველ სპეციალ საგანს თავისი, განსაკუთრებით მისთვის მომზადებული პირი ჰყავს. თანამედროვე ცხოვრებაში მღვდელი მღვდლობს და ყოვლად შეუძლებელია, რომ რელიგიურ საიდუმლოთა აღსრულება ვინმე ერისგანმა იკისროს; მასწავლებელი მასწავლებლობს და ყოვლად შეუწყნარებელია უკეთუ უვიცი და მოუმზადებელი ვინმე მის საქმეს ხელს მოჰკიდებს. ასეა ყველა სხვა დარგში. ასეა ყველა კულტურულ ქვეყნებში. მხოლოთ ერთი ქართველი სახიობაა ყველასათვის თითქო ადვილი და ხელმისაწდომი ჩვენში ყველას შეუძლია წარმოდგენა გამართოს, არც მოამზადება, არც სპეციალობა ესეთ ფაქიზსა

და პასუხის მგებ საქმეში თითქო საჭირო არც კი იყოს.

აქამომდე ხალხი დამონებული იყო პოლიცია და ცენზურა იყო ამ საქმეშიაც მისი „აპეკუნი“ და არ შეეძლო ხალხს ვიგინდარებისათვის აღეკრძალა წარმოდგენის გამართვა.

რაღა თქმა უნდა ჩვენს კავშირსაც არ შეუძლია რაიმე რეალ ზომებს მიმართოს ზოგიერთ უგვანო და ყოვლად შეუწყნარებელ წარმოდგენების წინააღმდეგ, რომლებიც ეგრე ხშირათ იმართება ჩვენს დაბა-სოფლებში. ჩვენს კავშირს მხოლოდ მის წევრებისათვის აქვს ერთგვარი წესი შემუშავებული და უკეთუ რომელიმე წევრი ამ წესს გადასცდება, მას წარმოდგენის გამართვის უფლებას მოუსპობს კიდეც, მხოლოთ სხვათა მიმართ თვით ხალხმა, ყოველმა ორგანიზაციამ, ყოველმა მოქალაქემ უნდა დაიჭიროს თვალ-ყური, რომ მომავალში მაინც არ შეიბღალოს ის ხელოვნება, რომელიც თვით ამ ხალხისთვის მოწოდებულია დიდი სამსახური გაუწიოს. ამისათვის საჭიროა ან ისევ ჩვენ სპეციალისტებს მოგვმართონ ხოლმე ან და მიუცილებელ შემთხვევაში ყოველი წარმოდგენის გამართვა თავს იდვას და პასუხიც აგოს რომელიმე საზოგადო ორგანიზაციამ, აქლაქისამ თუ სოფლისამ, და არა რომელიმე კერძო პირმა გინა ჯგუფმა არა პროფესიონალმა. მაშინ არც ხელოვნება დაზარალდეიმდენათ და არც ხალხის ფული გაიფანტება უგზო-უკვალოდ.

ეს იქნება პატივისცემა უსაჭიროესი და უდიდესი ხელოვნებისა, ეს იქნება დაფასება და შეგნება თვით ხალხის ინტერესისა და ეს იქნება ჩვენი ზნ ობრივი დახმარებაც.

ამასთანავე საყოველთაოდ ვაცხადებთ, რომ ჩვენ დავაწესეთ ერთგვარი ბეგარა ყოველ ქართულ წარმოდგენაზე, რომელსაც კი თვით კავშირი გამართავს, ან კავშირის წევრთა ჯგუფი, ან კავშირის კერძო წევრი. ეს ბეგარა გადახდებათ აგრეთვე იმ წარმოდგენებს, რომლებშიაც თუნდა ერთიც კავშირის წევრი მიიღებს მონაწილეობას, მაგრამ ვთხოვთ აგრეთვე კერძო წარმოდგენების გამმართველ პიროვნებათ, დაწესებულებათ თუ ორგანიზაციებს კეთილ ინებონ და იმათაც გაიღონ განსაზღვრული წვლილი კავშირის კასის გასაღონიერებლათ. ამისათვის ყოველ თვალ-საჩინო დაბა-სოფელში კავშირი იყოლიებს სანდო აგენტებს, რომელთაც ექმნებათ კავშირის მიერ დაგზავნილი სათანადო მოწმობა და ინსტრუქციები.

დასასრულ მოუწოდებთ ყველა ჩვენს დრამატურგებს მცხოვანთ და ახალგაზდათ მომავალ სეზონებისათვის მოგვაწოდონ თავიანთი ნაწარმოებნი.

მოუწოდებთ დრამატიულ საზოგადოებათ, წრეებს და ჯგუფებს, რომელნიც კი ფიქრობენ მომავალში სეზონის წარმოებას, დაჩქარებით მოგვაწოდონ თავიანთი პირობები, რადგან ამიერიდგან კავშირი კისრულობს თავის თავზე დასების შედგენას, გასტროლების დაგზავნას და საზოგადოთ წარმოდგენის მოწყობას საქმეებს. მოვუწოდებთ ჩვენს დახელოვნებულს ლიტერატორებს, ესტეთებს, მხატვრებსა და სხვათა დაგვეხმარნენ მომავალ რეპერტუარის შედგენასა და საზოგადოთ სახელმძღვანელო გეგმათა შემუშავებაში. მოვუწოდებთ ყველა ახალგაზდათ, რომელთაც სცენაზე მუშაობა სურთ, დროით განგვიცხადონ თავიანთი სურვილი და აგრეთვე ყველა მათ, ვისაც რითიმე ჩვენი დახმარება შეუძლიან, ან ჩვენ შეგვიძლიან რაიმე სარგებლობა მათ მოუტანოთ.

სამუშაო დიდია და საძნელო და ყველამ კარგათ უნდა იცოდეს, რომ ერთის დაკვრით ჩვენ ვერას შევძლებთ, რომ ერთბაშათ თეატრის საქმის აღორძინება და აყვავება შეუძლებელი არის, მაგრამ ისიცა გვწამს, რომ ყოველი ესეთი მუშაობა, კერძო თუ საზოგადოებრივი, ნიადაგს უმზადებს მომავალ დიადი თეატრის შექმნას საქართველოში და საერთო დახმარებით, თან და თანობით მტკიცედ წინ წავალთ.

მაშ პატივი ვცეთ ერთმანეთს, მხარი დაუჭიროთ ამ ახლად დაარსებულ კავშირს, რომ ამითიც ხელი შეუწყოთ მშობლიურ თეატრის სათანადო გზაზე დადგომას.

კავშირის თავჯდომარე კ. ანდრონიკაშვილი

შალვა დადიანი

შალვა შარაშიძე

საბჭოს წევრნი: ვალ. შალიკაშვილი

ალ. იმედაშვილი

გ. იშხნელი

ტასო აბაშიძე

ნ. გვარაძე

ი. ზარდალიშვილი

იურიდიულ გამგე პეტრე ქავთარაძე

ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქ. ბთილისი, ახალი ᲙᲚᲣᲑᲘᲡ სადგომში ქართველ მსახიობთა კავშირის კანტორა.

პირადათ მოლაპარაკება შეიძლება კვირა უქმე დღეების გარდა ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲓᲦᲔ დილის 10-დან ნაშუადღეის 2-ამდე.

ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝᲗ: Тифлисъ, Предсѣдатель Союза Артистовъ Грузинъ Конст. Андроникашвили.

იოსებ ნიკ. წილოსანი

ქართველთა შორის ცნობილი ქველმოქმედ-გამომცემელის გ. ქართველიშვილის შვილიშვილი, კიევის უნივერსიტეტიდან ქართ. ცხენოსან პოლკში შევიდა თავის სურვილით. მოკლულ იქმნა გენ. ბარათოვის ლაშქრობის დროს სპარსეთში ამა წლის მარტის 7, ჩამოასვენეს და დაკრძალეს დიდუბეში მაისის 30.

ალმოსავლეთის სიტყვა

ტაგორე

რბიან ჟამნი ხოლო შენ მიერ
მადლის მოდენას მაინც არ
უჩანს დასასრული.

გიტანჯალი.

დასავლეთი,—ნისლის ჩადრებით მოხმურული ქარხნების კვამლით მოქსოვილი ერთგვარ ჭაშვების მატიანეა.

მისი ცხოვრება შეფოთია ვით კოჭლი მაირონის, ქარიშხლიანი მისი ფიქრები, ტრემლით და სიხხლით არის მორწყული მისი გულმკერდი. აქ ბევრი ატირებულა პურის ძებნაში, აქ ბევრი დაფრქვეულა სალაფ ჩამოსხმულ ტრემლათ.

იგი სდუდს, გმინავს ვითარც ვეშაპი ქართულ ზღაპრებისა. კრეგინავს და აქაური დურჯი ცა ხშირად შავადაც იჩადრება. მის ზღვები ნაფოთით და ჭვარტლით არის ავსილი და არა მოთესილი თეთრ უვავიდებით, არა ჭკვავს ქადის დურჯ თვალებს. დაუდგდრომელია გიჟი და მოულოდნარი, ხან ობოლი—მაგალი მთვარის სამლერებით, ხან რაინდი—უშიშარი შეიდდოსანი ხან მოგვი ვარსკვლავთ თვალში რომ უწყალდება თვალები. ხან სუდი კანდევნილი შუადამის მდვიმეში რომ ხარხარებს ულხინო

და უეცავიდო.. ასეთია დასავლეთი.

მისი უფროსი და კი ალმოსავლეთი ლეიდასი, მდუმარე ალმოსავლეთი, ბრძენი ასიზმრებული მუდამ მთვლემარე, მზეთი დამთვრალი ჭფიქრობს მარადისობაზე. მწუხრ და დილაეულ იგზნება ფიქრი მისი ლურჯი ვითარცა ნიდოსი და სალვთო—ჰანგესავით. მწველია მისი ლოცვა ვით ქვეშა ბერამიდებისა, ვით კორიანტელი საქარის ულაბნოისა. იგია მოგვი, რომელიც თიდისმად ხმარობს ოქრომ, ანთრაკს, გუნდრუკს, მურს ტეტხლითა ვნება მისი, ვითარცა სუნთქვა ლეიდასი—ტუჩებზე რო იწვის დაუშრეტელად.

დავიგიწეთ ალმოსავლეთი.. დავიგიწეთ იგი, ბედისწერამ გასწირა და ჩვენც დავიგიწეთ იგი.

დიდების შარავანდედი კი დასავლეთს შემოეგდო თავს. კანგებამ ხელი ჭრიდა მას და დასავლეთის მკერდზე დაბნია მადიანი კალთა თავისი.

კარნა ვერ დავიგიწეთ მისი ჯადოსნური სიტყვა ტეტხლეული, დვინისფერი, მზით გამხურვალებული.. დავიწეების წიგნში ვერ ჩაგწერეთ ნათელი ათეზი, მრავალ საუკუნეთა გრეხილებიდან მოშაირობს სალი, ვარდის ჭანგებად იფეფრეულება ჯადალ-ედ-დინი. მარად დდე დრუბელივით ქვითინებს სიტყვა სოლომონისა: იამოება ამოთა ამოება ამოთ, ეოგელივე ამათ, რაი უმეტესობა კაცისა ეოგელსა შინა შრომასა მისსა, რომელი შერების მზესა ქვეშე. ნათესავი

წარეკიდს და ნაოესავი მოკვდეს და ქვეყანა ჰკიეს უკუნისამდე. ადმოხდების მზე და დახდების მზე და ადგიდამდე ოვაისდა მიიზიდავს, ისე ადმოაბრწყინვების მუნ, მოკვდეს სამხრეთ კერძო და კარე მოვდის ჩრდილოეთ კერძო კარემოს კარე მოვდით ვალს სუდი და სიმრეკვდეს ოვისა კარე მოიქტევის სუდი. ეოვედნი დვარნი შეზდიან ზდვასა მინა და ზდვა არა არს ადვსეულ, ადგდისა ზედა სადაცა დკარნი მიოვდენ, მუნეცა იგინი მოიქტევიან მისვდად. და არა რაი არა არს ეოვედიეე ახად მზისა ქვეშე, რომელი ადმოიცყვის და თქვეს, აჰა ესე ახად არს.."

ეოვედდეე ახადის და ნაზია ციანკარიგით სიტყვა „ქებითა ქებასა". სიტყვა მისი ქადწუდის, ვერცხლის შხივად ფრქვევული სუკუნოების ბინდში.

ბერისა თვისი. ამბორს მიუვეს მე ამბორისა ეოფისაკან.

სათა, რამეთუ უმჯობეს არიან ძუძუნი შენი უფრო დვინისა"—

„არ ძალუც წკალსა მრავნდსა დამეტად სიეკარეულისა...

„და მე შენდამი უფალო დადად ვჭეკვ და ციანკარსა ლოცვა მიგეწოფოს შენ!—იკმეკვ ფსალმუნი დავითისა, ვითარცა სკამეკვალი.

ამად მოკვეძახის არწივიანი სიტყვით რუსთაველი ბარდოსი საქართველოსი.

ჭო და... დავიეწეეო სამშობლო მათი, კარნა ვერ დავიეწეეო მისი ქურუმნი—ჯალონობის მფრქვეველნი, ვარსკვლავთა სიდუმლოს შესაცნობათ, რო ჭსრბოდენ მეშვიდე ცაში.

გვახსოვდა გეირგვინობსება მისი, ელვარება სადგოო, გვახსოვდა მისი ოქრონუმსური დადიდული მზის ბრიდიანტებით და არ გვინდოდა დუნდობელს დროს ეხელწოფა მაზედან, არა გესურდა დროშა მისი.—

მზესთან მოდაპარკე ძირს დაშვებულიეო წუდიადის ფრთებთან. აჭა, აგვისრულდა სანატრი იგი, და ბენკალეთის შორეულ ნაპირებიდან კამოჭკრთა როგორც დანდი, ჩვენთან მოვიდა მეფე-მგოსანი მზიური სიმდერებიო, მოვიდა მეფე ჯალონანი ულმდო, ულახტო უამქარო და უხმოდ დაიმორჩილა ქვეყნიერება.

თქვენც იცით იგი.

მარადდეე გესმით მისი სადვესასწაულო საგალობლები.

თქვენც დაგატუვეგთ უკანეკოთ, იგრძენით თავი მის სიტუვათა ტუვეობაში, კარეშე მისსა ვერავის ჭსახავდით, ჩაიმადენით მისთა სიტუვათა ბადეში და სიტადითა ჭრქვეთ:

—იგი მეფე რაბინდრანთ ტაგორე არის!.

გოგლა ლეონიძე.

(გაგრძელება იქნება.

ნაომარზე

შალვა დადიანის პიესა „**ბლვიმეში**„ მაისის 29 სახელ. თეატრში.

ხომ გინახავთ ან გაგიგონიათ, მტრის წინააღმდეგ აბჯარ-ასხმული მეომარი, ქეჩოაყრილი, მოწინააღმდეგეზე იერიშის მისატანად რომ ემზადება, გადადგამს ნაბიჯს, რომ მტრის სანგრები ხელთ იგდოს, მაგრამ.. სანგრები უკვე დაცლილია, მტერი გაქცეული და... იერიშის მიმტანის რიხიანი შეძახილი ყრუ ჰაერში უქმად იკარგება.

სწორეთ ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა შალვა დადიანის ორიგინალურმა პიესამ „ბლვიმეში", რომელიც 1905 წ. მოძრაობა გავლენით დაიწერა, 1910 წ. დაიბეჭდა ხოლო განსახიერდა დღეს, რევოლუციის მეორე დღეს.

ნასროლი მისი, თითქო, ჰაერში უმიზნოდ განიფანტა, მისი რევოლუციონური სულის კვეთება და მისწრაფება თითქო ისეთი ალარ ალმოჩნდა, როგორიც სამართლიანად შეჰფერის.

სულ სხვა იქნებოდა ორი-სამი წლის წინად თუ არა, რევოლუციის წინა ხანაში მაინც რომ დაედგათ: მაშინ ეს პიესა თოფის წამალივით იფეთქებდა და კაცთა აზროვნებაში ნამდვილს რევოლუციას მოახდენდა.

ახლა-კი კარიკატურული მნიშვნელობა ეძლევა, მომხდარის წაბაძულობა.

იმდენათ ძლიერია რევოლიუციონურ ხანის შვილთა სულიერი განცდა

კიდევ კარგი, რომ ეს პიესა, როგორც ვსთქვით, ათი წლის წინად დაწერილია, ხოლო ექვსი წლის წინად დაბეჭდილი.

ეს თუ აღვნიშნეთ, იმის დასახასიათებლად, რომ ქართველ მწერალს, ჩვენს მსახიობსაც შეუძლიან სიტყვის თქმა, მაგრამ ეს

რომ ეს სიტყვა ხშირად მოგვიანებულია.

ასე მოუგვიანდა შალვა დადიანის პიესასაც. მუშა ხალხის გალაშქრება თვითმპყობელ მეფის მთავრობის წინააღმდეგ, მისი დამხობა, ხალხის გამარჯვება,—ახლა ისეთს შთაბეჭდილებას ვეღარ სტოვებს.

ეს უკვე მომხდარია.

პიესის სათანადო შთაბეჭდილება დაამძიმა იმ გარემოებამაც, რომ მსახიობთა უმეტესობა გატაცებულის რწმენით, აღფრთოვანებით ვერ ასახიერებდა ნაკისრ როლს, პიესაც თითქოს გაჟიანურებულია და მსჯელობა სჭარბობს.

მიუხედავათ ამისა, პიესას თვისი ღირსებაც აქვს: შიგა და შიგ სურათები მომხიბლავია, ბევრი სცენა მეტად საგულისხმო და დამაფიქრებელი, ბრბოს პსიხიოლოგია და ზებრბოს გმირის ჭეშმარიტებისთვის წამება დღესაც საჭირ-ბოროტო კითხვაა... ამ მხრით შეიძლება ავტორს არ დაეთანხმოთ, მაინც ბევრს დამაფიქვრელს განგაცდევინებთ...

დაწერილია მშვენიერი ქართული ენით. სჩანს გ·ბრისთავს მხატვრული გემოსაკმაოდ განვითარებული ჰქონია, გარეგნულად რომ მშვენივრად მოაწყო წარმოდგენა.

ურიგო არ იქნება, თუ ამ პიესას კიდევ გაიმეორებენ, შესაფერი შეკეთებით.

იგი კიდევ ბევრს ასწავლის ყველა იმათ, ვისაც დემოკრატიის სამსახური გულწრფელად სწამს.

მართალია, პიესაში ერთის მხრით თუ უკვე მომხდარი ამბავია აღწერილი და ისე ვეღარ აღგაფრთოვანებს, მეორე მხრით—ხაზგასმულია ხალხის მართველობის მოწყობა: თვითმპყრობელობისაგან განთავისუფლებული ახალი თვითმპყრობელის ბრეყალებში არ მოექცეს.

ხალხმა გაანგრია მღვიმის კედელი და გზა იხილა, მაგრამ ამ გზით შესაფერად ისარგებლებს თუ არა?!

წარმოდგენას დიდძალი საზოგადოება დაესწრო, სახემწიფო თეატრი გაჭედილი იყო.

მონაწილენი ვაშა-ტაშით დააჯილდოვეს, შალვა დადიანს და ცაცა ამირაჯიბს ცოცხალი ყვავილების თაიგული მიართვეს.

იოსებ არიმათიელი

ვ. მ. გოლიაძე პორუჩიკი
გერმანიის ფრონ. მოკლ.

უკანასკნელი შაირი

ვოცნებობდი. ღამის ლანდებს თან დასდევდა ჩემი სული,
წითელ ზღაპრებს მიამბობდა ვარდის ფერი გაზაფხული;
სიო წყნარად ჩურჩულებდა, სიო წყნარად ბაასობდა
და თან ღამე შეეერცხლილი მთვარის შუქით ალმასობდა.
მე ბუნება შევიყვარე, ბუნებას მე შეუყვარდი,
მაგრამ შენ კი, როს მოგიძღვენ მოწიწებით გულის ვარდი,
არ გინდოდა, რომ მიგეღო და შენდამი შენაწირზე
უარი სთქვი ურცხვად და თან ასწითლდი და აიმრიზე...

...მე მსწრაფლ ფიქრი ამიღელდა, ფიქრს სხვა ფიქრი მოემატა
და ავქოთდი... და შენ გკითხავ მიპასუხე, რისთვის, რათა?—
ნუ თუ მისთვის, რომ მიყვარხარ ასე გრძნობით, ასე წრფელად,
ნუ თუ მისთვის, რომ სულს გწირავ ვნების ეშხში დასაწველად?!..

. . . . . .

მე ვოცნებობ და თავს გავლებ ვარდ-ყვავილებს ცისფერ მუქებს,
შენზე ფიქრი ჩემს მძიმე სულს აეშხებს და ამსუბუქებს...
გავხდი ავად, შენს გზას გავცქერ, მენატრები დასანახად,
ეხლა მაინც მოდი, ქალო, ჩემი სულის დასამარხად!..

ვეფხო-ფშაველი

გუშინდელნი

(დასასრული· ის. "თ. და ც". 22)

— 0 —

ქიდორდავა შემორბის. ხელში დაბეჭდილი კონვერტი უჭირავს.)

ქილორდ. (კამოეჭიმება მაზრ. უფროსს) ვაშე ვისოკობლაგოროდიე! (აწყდის ქადადდს)

მაზ. უფ. (გაკვირვებული) Въ чемъ дѣло? (ველანი წამოიშლებიან. წუთი მოდოდინისა).

ქილორდ. ნაროჩნი პრიეხალ, ბატონო, პრედპისანიე...

მაზ. უფ. (უკვე გახსნა. სერიოზული სახე მიიდო, თითქო სულ კამოფხიზლდა) Даа!..

კნ. ჩიტ. (პაუზის შემდეგ) რა იყო, ედუარდ ერაზმოვიჩ?

მაზ. უფ. (**ოფიციალი ქილოთი**) Меня въ другой уѣздъ переводятъ, княгиня!! Губернаторъ немедленно требуетъ меня.

კოწ. (

მალხ. (უჰ!

სხვებიც (გაკვირვებულნი დგანან)

კნ. ჩიტ. Какъ? ასე მალე?. Ужеръ тоитქმის ხეირიანად არც კი ჩამოსულხართ. თქვენი მაზრა არც კი გაგიცვნიათ.

მაზ. უფ. Да, служба, княгиня.

კოწ. შენ არ მომიკვდე! შენ თავს ვინ წაგვართმევს. (ჩიტუნიას) კნეინა ბეჩა.

მაზ. უფ. (გაიცინებს). ნუ! რაც არის ის არის!

(ქიდორდავას) Нусъ осѣдлать лошадей. Живо Горгасланіани!

(გორგასლანი გარბის)

ქილორდ. ლოქ გატოვო, ვაშე ვისოკობლაგოროდიე.

მაზ. უფ. Господинъ приставъ (რადტს ელაპარაკება)

ფაცია. (ჩიტუნიას) ხვეწნის კიდოთი ეხვება) ჩიტუნია.

კნ. ჩიტ. Ничего, ничего?. მე ყველაფერი ვიცი. ნუ გეშინია. ხელიდან ველარ გამისხლტება, მეც წავალ. შენც ჩემთან უნდა წამოხვიდე. ჩემს სახლში წავიყვან.

მალხაზ. (მაზრ. უფროსს) აბა, ამალამ სად წაბრძანდებით!.

მაზ. უფ. არა, მამასახლისო.. Долгъ службы прежде всего...

მალხ. როგორც თქვენ ბრძანებთ, ბატონო!

კნ. ჩიტ. ედუარდ ერაზმოვიჩ, ჩვენც მივდივართ... კნიაჟნა ფაციაც...

მაზ. უფ. Ахъ да... კნიაჟნა ფაცი..

კმ. ჩიტ. ეხლავე, ეხლავ მზათ ვაქნებით. ჩემი ცხენებიც მზათ გვყავს, წამოდი ფაცი. (გადიან ორივენი)

მალხ. (გადასძახებს) ბიკო, ზურიკო!.. მალე ჩემი ცხენი შეკაზმე, ნაჩალიკს უნდა ვეახლო...

მაზ. უფ. (მიდის მაგიდასთან, აიღებს ჭიქას) ბატონებო, სულით და გულით ვწუხვარ, რომ სამსახურის მოვალეობის გამო იძულებული ვარ დავტოვო ეს მშვენიერი კუთხე... პირველი ჩემი სამაზრო გამომგზავრება ამ სოფელში მოხდა... თითქმის რამოდენიმე საათია, რაც თქვენ შორის ვიმყოფები, მაგრამ სულით და გულით შეგითვისდით, დიდათ მომეწონეთ... რაინდი ხალხი ყოფილხართ... სტუმრის დიდი პატივის ცემა გცოდნიათ... მშვენიერი მრავალ-ეამიერი, ქალებისს სილამაზეზე ხომ ლაპარაკიც მეტია... დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ სადაც არ უნდა ვიქმნე, მეხსომებით!.. (დადგეს)

ყველანი. ურაა!

(მრავალ-ჟამიერ)

—IA—

კეკელა და აგრაფენა.

კეკელა. ღმერთო მომკალი, მიბრძანდებით?

მაზ. უფ. დიახ, ბატონო... სამსახური მთხოვს...

—IB—

კნ. ჩიტუნია და **ფაცია** (სამგზავროთ მორთულები.)

კნ. ჩიტ. აი ჩვენც მზათა ვართ, მხოლოდ ედუარდ ერაზმოვიჩ...

მაზ. უფ. (მიდის მასთან) Что прикажете, княгиня?..

კნ. ჩიტ. (ანიშნებს ფაციაზე) თქვენი სიტყვა უნდა შეასრულოთ...

მაზ. უფ. კნიაგინია! მე სიტყვის კაცი ვარ და ეხლავ დავამტკიცებ ამას... (მიდის ფაციასთან, მის ხელს აიღებს) Господа!.. ვაცხადებ საყოველთაოდ ..

კნიაზ კოწია!.. მე თქვენ ქალს ვირთავ.. (მოულოდნელობის გამო უეცარ გაშტერდება და სხვა და სხვა მიზეზს მიიღებს. ბაუზა).

კოწ. (შეხედავს მაზრის უფროსს, არაფერი გაეგება, შემდეგ მალხაზს) რა თქვა ძამიამ?

კნ. ჩიტ. როგორ ვერ გაიგე? შენ ფაციას ცოლად ირთავს..

კოწ. კაი შენი ჭირიმე, ნუ მეხუმრები!..

მაზ. უფ. (მიდის კოწიასთან) Вполнѣ серьезно, князь ..

კოწია (დაბნა) იმე!.. ჩემი ცოლი სად არის, ჩემი ცოლი სად არის..

კეკ. თუ მართლა აგრეა... მოგვილოცავს, გენაცვალე ფაცია. (მიდის, კოტნის).

ხმები მოგვილოცავს, ბატონო, მოგვილოცავს ვაშე ვისოკობლაგოროდიე...

პრისტ. (გამოეჭიმება მაზრ. უფრ.) Отъ души поздравляю ваше высокоблагородіе! (ფაციასთან მიდის, ხელზე კოტნის) კნიაგნა მერწმუნეთ რომ დიდათ მიხარია.

კნ. ჩიტ. (მიდის მაზრის უფროსთან, გეკლუტეთ) ეხლა კი აღარაფერზე არ გემდურით და вполнѣ вами довольна.. (განაგრძობს მასთან დაპარაკს).

აგრაფ. (ჩუმად მიდის და ფაციას აკოტნებს).

ადიკო. (ისევ ზარხოშად არის. მიდის ფაციასთან, ხელს დაუჭერს) განცვიფრებული ვარ და გაყერყეჩებული... ძალიან პრაქტიკული ჭკუა გამოიჩინეთ.

ფაც. მაშ რა სჯობია?.. აქ ველოდო მოგზაურ, ზღაპრულ პრინცებს?.. თქვენ კი ხომ გიოხარით, ჩემი რომანის გმირი არ იყავით.

ადიკო. თქვენი პრინცი მოვიდა კიდეც...

ფაც. ჰო... რაზე დავმალო... ვიცი, რომ ცხოვრებაში ერთ-გვარი ძალა მეც მექნება...

კოწ. (შეკვეთ ეხვევა მაზრის უფროსს) დიდებული ყაზახი ხარ, დიდებული მიდის ფაციასთან, თიოქმის ტრიდეთ, შვილო ფაცია (მოეხვევა) შენ გენაცვალოს მამა შენი კოწია... ეს რა ბედნიერება მომანიჭე, შვილო... ჩემ თავს არ ვუჯერი... სად არი ახლა საწყალი დედა შენი?..

ფაც. რა ვქნა, მამა?.. უცხო კაცია... გადამთიელი, მაგრამ გვეყოფა ამდენი გაჭირვება..

კოწ. რას ამბობ შვილო, ხელმწიფის ტოლი კაცია. ამისთანა ბედნიერებას ვინ ღირსია...

(კიდის მაზრ უფრ.—თან) ვენაცვალე მე ამას.. აა, სიძე, ძიძე!..

მაზ უფ (ულიმის მხარზე ხელს დაკრავს) მაგრამ ამ სოფლის თვალი კი წაგართვით...

მალხ. იცოცხლე, ბატონო, იცოცხლე.. გემოვნება კი გქონია.., აგაშენოს ღმერთმა..

კნ. ჩიტ. Нусч' значить такъ... ყველანი მავდივართ ჩემსა... ედუარდ ერაზმოვიჩ დავითანხმე.., ამალამ ნიშნობასაც გადავიხდით და.. ხვალ უთენია ჩვენი სიძე წავა თავის საქმ ეზე.. ერთი კვირის შემდეგ მე დბ ფაციაც თავის დედ-მამით ჩავალთ გუბერნიის ქალაქში და ქორწილსაც გადავიხდით.. ეხლა კი, კოწია, გასწი ჩქარა შენი ჯორით, წამოიყვანე შენი კნენეინა და მოდი ჩემსა..

კოწ. ახლავე შენ გენაცვალოს ჩემი თავი.. (დაფაცურდება) აბა სიძე ბატონო (მოეხვევა.) ღარ გეთხოვები... შვიდობით ფაცია... (ეხვევა) ღმერთო, არ ვიცი რა ვთქვა.. ჩაირბენს კიბეზე)

მალხ. (ბაზრ უფროს) ბატონო მარტო თავად კოწიას ოჯახი კი არ გააბედნიერე მთელი ეს კუთხე გააბედნიერე... მთელი ჩვენი სოფელი გაბედნიერე. თქვენისთანა კაცის სიძობა, ბატონო, ხუმრობა კი არ არის, გვიგვინია, ბატონო, მთელი მხარის... და საცა უნდა ბრძანდებოდეთ, ჩვენც იმედი გვაქს, რომ არ დაგვივიწყებ და გეხსომებით.,. მაშ გაცოცხლოს, ბატონო, კიდევ ერთხელ ღმერთმა... (სვამს)

ყველანი ურაა! (სვამენ)

— იგ —

გორგასლანიანი (შემორბის. მაზრის უფ-კამოეკიმეა) ლოშადი პოდანი, ვაშე ვისაკო ბლოგოროდიე ჰე-ჰე-ჰე!

მაზ. უფ. მაშ ეხლა კი მშვიდობით, ბატონებო... ან და უკეთესი იქნება ვთქვა... მალე ნახვამდის, რადგან იმედი მაქვს.. (ჩაიცინებს) როგორც თქვენი სიძე, ბატონებო, კვლავ გეწვევით.

ყველანი. იცოცხლე, იცოცხლე, ბატონო.

მაზ, უფ. ეხლა კი ერთხელ კიდევ გადაეცით მთელს სოფელს ჩემი გულითადი მადლობა და ის, რომ... (შეჩერდა, ფიქრობს

რა თქვენს) მუდამ მეხსომებით. ნახვამდის, ბატონებო! (ბირველად კეკელას ჩამოართმევს ხელს შემდეგ აგრაფენას. ბოდბს თვალით ეძებს ვის გამოეთხოვოს და შეჩერდება ადიკოზე) სხვა კი ყველა, მგონი, ჩვენთან მოდის... Ахъ, вы самомъ дѣлѣ молодой патріотъ (ხელი უნდა ჩამოართვას)

ადიკო არა ეგ молодой патріотъიც' თქვენთან წამოვა. თქვენ ზეიმს მეც მინდა დავესწრა...

მაზ. უფ. Очень радъ, очень радъ.. Нусъ, княжна მიბოძეთ თქვენი ხელი და ნება დამრთეთ, რომ ცხენზე მე თვითონ შეგსვათ...

ფაც. სიამოვნებით... ნახვამდის ბატონებო! (კადიან ხელ-კაურიდნი. თან მიუგებიან სტუმრები და „სტრაფნიკები").

ხმები. გაგაბედნიეროს ღმერთმა, გაგაბედნიეროს...

პრისტ. Княгиня!.. (უნდა ხელი კაუკარგოს

კნ. ჩიტ. (ახედ-დახედავს) აბა ნახვამდინ კეკელა...

პრისტ. (დარცხვენილი კადის).

კნ. ჩიტ. აგრაფენა... შენ არ გინდა— არ გინდა წამოსვლა?

აგრაფ. უკაცრავათ, კნეინა... ვერა ვარ მთლად კარგათ...

მალხ. აბა, ბატონებო, ერთი მგზავრული, მგზავრული... მეფე-დედოფალი სიმღერით გავაცილოთ.

(სიმღერა. უეცლა კადაგდება. სტენაზე მხიარულ აგრაფენა რჩება, რომელიც სანთელს და დაზეპას ჩაქრობს, შემდეგ ხარიხას კადაეურდნობა და წამსვლელებს კასტქერის. სტენა ბნელდება მოისმის სიცილ-ხარხარი. მათრახის ტკაცუნი. ცხენის ფეხის ხმა. ცოტა ხნის შემდეგ კიბეზე ნელ-ნელა ამოანადუდება კეკელა. კამოიგდის აივანზე. შემდეგ შეამჩნევს აგრაფენას, მიბრუნდება).

— იდ —

კეკელა. რა იყო აგრაფენა—შვილო... როგორ გამხდარხარ?.. წამოდი, დაწექი შვილო... არაქათი აღარ გაქვს...

აგრაფ. (თითქო თავისთვის) ყველანი წავიდნენ... ფაციც გათხოვდა... ჰაი ჰუი და ყოველივე ისე დარჩა, როგორც იყო. ციხებურჯი ისევ უპატრონოთ წამოტოვებულია, ეკლესია გუმბრათ გადამტვრეული, სასწავლებელი კარ-გამოკეტილი, ბადი გავერანებული, ბოგირი ჩაცვივნული... გზებიც ისევ გაფუჭებული... (თავს ჩაჭკიდებს. ტრემდები ერევა')

კეკ. რა იყო? რა მოგვსვლია?

აგრ. (ჩუმად არის)

კეკ. (მოდის მასთან) მომკალი! ცრემლი. რა გატირებს შვილო?

აგრ არაფერი, დედა'.. სიცალიერესა ვგრძნობ.

ფარდა

(ბოლო)

შალვა დადიანი.

მეგობარს

ძღვნათ პატარა გენოს.

ა

არჩილ!

დილას, როცა კოლხეთის ვეშაპი გაიღვიძებს და არე-მარე გაუღიმებს, როცა თვალებიდან ოქროსფერ სხივებს გადმოაფრქვევს და ერთი კონა შენს საძილო ოთახში, ფანჯრიდან შემოპარული, შენს სახეზე დაიშლება—მე შენთან მოვალ, დილის ტკბილ ძილს გაგიფრთხობ!

გამოგაღვიძებ—არ დავაცლი ძილს ანგელოზს მზის სხივებით დაფერილი შენი თვალები კოცნოს.

არ დავაცლი...

მე მინდა ამ დროს მინდვრათ გაგიყვანო. შენ ხომ გიყვარს მინდორი—აბიბინებული ცელქი მორიკრიკე ნაკადული, რომ გულს უსერავს?!

მუხის ძირას დავსხდეთ და ყური მიუგდოთ როგორ ლივლიებს მისი ტალღები ყვავილებით დაფენილ მინდვრისა მკერდზე...

ყური მიუგდოთ და თან შევკონოთ მის ნაპირზე მომღიმარი ყვავილთა კონა...

შენ ხომ გიყვარს მათი სინაზე?!

ჭო და როცა ნაკადულმა, თვის სიცელქით დაგათროსა, ყვავილებმა დაგვაბრუოს თაიგულებით შინისკენ ვასწი: თამარს შენს დაიკოს—ხომ იცი არ შეეძლო ჩვენთან მინდვრათ წამოსვლა, მას მიუტანე გაეხარდება ღიმილით ჩამოგვართმევს და ცელქი გოგო წიგნს უფრო მადიანათ მოეკიდება...

ჯერ ხომ ეგ ცხრა წლისაა, ჩემო კარგო, მაგის ოცნება ყვავილებია.

მაშ, გულს ნუ დაწყვეტ, ყველა კონა

თამარს მიართვი, იცოდე, ცრემლი არ ადინო, სევდა არ მოგვარო—მაგის ცხოვრება ყვავილებია...

მაშ, მზათ იყავი, მე გაზაფხულის დილას მოვალ...

ბ

შუა დღისას, როცა ლურჯ ცაზე წითლად თოკუმშული ვეშაპი ხარხარებს და ბრაზიანი თვალებიდან ცეცხლის რგოლებს აფრქვევს, როცა არე-მარე სიჩუმის კლანჭებში ნელა სუნთქავს, როცა ცელქი ნიავი ხეთა ფოთლებში მომკვდარი სევდიანი ამოიოხრებს,—მაშინ მოვალ...

მინდა ამ დროს ზღვის პირას წაგიყვანო. შენ ხომ გიყვარს სევდით მოჩურჩულე ზღვა?! კვიპაროსის ძირს დავსხდეთ და სიჩუმეში შთავინთქათ...

იცოდე, ზღვის ტალღების სევდიანი მოთქმა კარგათ დაიხსომე, გულს მიიკარ მისი დუდუნი,—ის ხომ ზღაპარია უძირო ზღვისა, საუკუნოებით მოგონილი, მქუხარე ტალღების-მიერქარიშხლის დროს შექმნილი?! ჰო და ყური მიუგდე მშვიდათ მოჩურჩულე ტალღათაზღაპარს, ყური მიუგდე როგორი სევდით მოუთხრობს მიდამოს წარსულს დიდებას,—და შეხარის იმ დროს, როცა ქარიშხალი კვლავ ამოსკდება და ეგეც ყიჟინით ამთავრდება!

ყური მიუგდე, კარგათ დაიხსომე ზღვის ზღაპარი... და შინ როცა მიხვიდე გვერდს მიუჯექ თუთხმეტი წლის ნინოს და უამბე ზღაპარი, ზღაპარი უნდა, ზღაპირი მომავლისა, რომელსაც მოსთქვამდა სევდიანი ზღვა...

იცოდე, ნინოს გული მდუმარე ზღვაა და როცა გაიგონებს მშობლიურ ჰანგებს ნელა, ნელა ატოკდება: სხივი, განთიადის სხივი მოეფინება და ცხოვრების ქარიშხალს გულს მიაყრდნობს...

ჰო, უამბე, უამბე.—ნინოს გული ჯერ მდუმარე ზღვაა—სევდიანი, საოცნებო ზღაპარი სწყურია რადგან ცხოვრებაც ზღაპარი ჰგონია!!

მაშ, შუადღისას, მე 'შუადღისას მოვალ!!

შენ გგონია საღამოს ჟამს, როცა დასავლეთის ტატნობზე ცეცხლმფრქვეველი ვეშაპი გაიზმორებს, დაამთქნარებს დასაძინებლად და ნელი სიო ხის ფოთლებში დამალული აჩურჩულდება მაშინ არ მოვალ?! მაშინაც მოვალ და მშობლიურ მთაზე აგიყვან, იმ მთაზე საიდანაც პაწა რუები ჩამოწანწკარებს.. გადმოვხედოთ იქიდან ჩვენს ქვეყანას, მაგრამ იცოდე, არ გაგიტაცოს მისმა სიკეკლუცემ, თვალმა არ მოგატყუოს... ყური, ყური მიუგდე... შენ იქ ნიავი მოგიტანს რაღაც ყრუ გამოძახილს.. იგი სევდითაა სავსეგულს დაგიღონებს...

ჰო, ჩემო კარგო ის ხალხის, ხალხის კვნესაა, გოდებაა, ტანჯულ ჩაგრულის—მოთქმაა მშობელი ერის..

გულს დაგისერავს, იგი რომ ზღვის ზღაპარი არაა—იგი ცხოვრებაა, ცხოვრება ჩაგრული ხალხის!!

გულს დაგისერავს, მაგრამ ნუ შეიზარებ.. შენ რომ მიხვიდე, გულდაკოდილი მივარდი თვრამეტი წლის შენს და ქეთოსთან და უამბე ის, რამაც მთაზე ცრემლი გადინა..

უამბე, უამბე, ქეთო გაიგებს დროს ნაამბობს შენს განცდას, გაიგებს, რადგან ცხოვრება უყვარს. გაიგებს და გულს ჩაიხუტებს მოთქამს მწუხრის ტანჯულ ხალხისას. გულს ჩაიხუტებს და ღიმით თვალს წადებს, რომ განთიადის დროს ცხოვრების ტალღებში გადაეშვას—მისი ნაღვლიანი ოხვრა მკერდზე მიაკრას...

ჰო, მე საღამოს ჟამს, საღამოს ჟამსაც მოვალ!...

დია ჩიანელი.

შრომის სამეფო

(იხ "თ, და ც.„ №1)

მზე საკმაოდ აწეულიყო ცაზედ. დილით ცივ-ქალაქს ასიცხება დასტყობოდა, რადგანაც მხურვალე მზე დჰყურებდა. ქალაქში ჩვეულებრივი მოძრაობა გაჩაღებულიყო, ხალხი ბუზივით ირეოდა...

ბაიათოვის თუთუნის ქარხანაშიც მანქანების ხრიალი, დროგების ხმაურობა და მუშების საქმიანობა-ლაპარაკი ერთი მეორეში არეულიყო..

ქარხანაში მეტათ ცუდი სუნი იდგა. ის დაბალ ადგილას იყო გაშენებული, ბუნებრივ ნოტიოს ემატებოდა ხელოვნუად შემქმნილი,

ეზო უსუფთაო და ტალახიანი, შიგნით კი ქარხნის კედლები გაშავებული ცემენტით გაკეთებული, იატაკი აქ-იქ დანგრეული და მტვერით სავსე, ყოველივე ამას ემატებოდა თუთუნის მოწამლული ჰაერი.

ზემო აღნიშნულ ქარხანაში ორასამდე მუშა მუშაობდა. ამათში მამაკაცი სამოცი, ორმოცდათი ორივე სქესის თერთმეტიდან ხუთმეტი წლის მცირე წლოვანები და დანარჩენი ქალები. მამაკაცები უმთავრესად საპატიო როლს ასრულებდენ, დიდა კაცები კი უბრალო მუშებისას, თუთუნს აწყობდენ, ქაღალდებს კეცდენ, პაპიროსებს ითვლიდენ, ყუთებში ალაგებდენ და სხვა და სხვა. ქარხანაში მუშაობა დილის ექვს საათზედ იწყებოდა და საღამოს რვა საათამდე გრძელდებოდა. ისვენებდენ მხოლოდ სადილობის დროს ერთ საათს ქარხანა-კი დაყოფილი იყო რამოდენიმე ნაწილად, თითოეულ ნაწილში მუშათა განსაზღვრული რიცხვი იყო, რომლებიც თავის საგანგებო მოვალეობას ასრულებდენ, ამასთანავე ყველა განყოფილებას უფროსი ყავდა თანაშემწით; უფროსების მოვალეობა იყო: მუშების თვალ ყურის გდება მუშაობის დროს, მუშის მიღება დილას, გაცდენილ საათების და დღის აღნიშვნა-წარდგენა ჯარიმისათვის, ჩხრეკა და სხვა და სხვა უფლებები, რომელებიც ერთგულათ ასრულებდენ მოვალეობას და ამიტომ ხაზეინისაგან დიდ ჯამაგირებს იღებდენ.

მზის მხურვალე სხივებს ქარხნის კედლები ძალზე გაეხურებია. მეოთხე განყოფილებაში ოფლში გაწურული ქალები შეუსვენებლივ მუშაობდენ, თავ-ჩაღუნული, ხმა-გაკმედილნი ასრულებდენ თავიანთ მოვალეობას. ამ განყოფილებაში ორმოცამდე ქალი იყო, მათ შორის ოლია და მისი მეგობარი მართა. ზოგი ახალგაზდები, ზოგი მცირე წლოვანიც და ზოგიც ისეთები, რომლებსაც თმა სრულიათ გასთეთრებოდა. ყველანი სახე-გაყვითლებულნი, თვალებ-ჩამქრალნი და ჩამომლრძალნი. მცირე წლოვან პატარებსაც მეტათ ცუდი ფერი ქონდა. თუთუნის მომწამვლელ ჰაერს თმაზე ძლიერი გავლენა მოეხდინა და მომუშავეთა სახეც ამას ამტკიცებდა.

განყოფილების უფროსი მეტად მკაცრი კაცი იყო. მუშები მას შურის თვალით შესცქეროდენ და თვითონაც მრისხანეთ და წარბმოხრილათ დაჰყურებდა მუშებს.,.

ქარხანაში შემადგენლობა ჭრელია. თვით მეოთხე განყოფილებაში სხვა და სხვა ენაზე მოლაპარაკე მუშებია· ერთ პატარა ნესტიან კუთხეში მოუყრია თავი ქართველსაც, სომეხსაც, რუსაც, ებრაელსაც-თათარსაც და ბოლონელსაც· ვინ იცის სიდან სად მოსულან... ზის ოლიაც ერთ კუთხეში და პაპიროსებს აწყობს. მის გვერდით მისი ჭალარა მართაა და ისიც საქმობს; ორივეს სახეზე ოფლი ჩამოსდის და დაღლილობა ეტყობათ, მათი გამომეტყველება აშკარათ ამტკიცებს დასვენება უნდათ..· ხშირათ თვალს გადაავლებენ უფროს და მოწყენილად განაგრძნობენ პაპიროსების წყობას.

—ძლიერ დავიღალე, ოლია! ძლიგს გასაგონი ხმით უთხრა მართამ ოლიას.

—მეც დავიღალე, ჩემო მართა! უპასუხა ოლიამ მართას.

—სიცხე ძალიან მაწუხებს შვილო, წელი მტკივა და თავშიც ბრუ მესხმის.—მეც თვალები მიბნელდებს და თანაც მშია.

—მეც მომშივდა შვილო, დროცგაგრძელდა, მიკვირს, რათ არ ისმის საყვირის ხმა.

—რა ენაღვლებიან... შიმშილს არ ვჩივი, ეს სიცხე რომ არ მაწუხებდეს.

—ყველაფერი გადაგვეკიდა შვილო, ზამთარში სიცივე გვტანჯავს, აწ სიცხე დაგვადნობს.

—ასეა მართა ჩვენი ცხოვრება. დილას სიცივე იყო და ეხლა...

—ეხლა გაზაფხულია, შვილო, ბუნება ხარობს, სოფელი ყვავილდება, ზამთრისაგან დამძრალი ქვეყანა ილვიძებს, მხოლოდ ჩვენ რა გვაქვს სასიხარულო, ჩვენ მაინც ვერ ვიხილავთ ბუნების სიტკბოებას..· ჩვენთვის ასე იყო დღემდი და ასევე მიმდინარეობს...

—ეი, თქვენ რას ლაზღანდარობთ!.. ხმა შევსწყვიტეთ, იმუშავეთ!..

—მრისხანე ხმით გადასძახა უფროსმა ოლიას და მართას, მათ ფერი ეცვალათ, მოწყენით შეხედეს უფროსს და წყნარად განაგრძნეს მუშაობა. უფროსმა კი დაცინვით დაუმატა;—სახლში იზლაპრეთ, აქ კი იმუშავეთ! ფულს გაძლევენ ტყუილად ხომ არ ყრი-

იმ განყოფილების უფროსი, სადაც ოლია იმყოფებოდა ტომით ქართველი იყო ზემო იმერეთიდან და გიორგის ეძახოდენ. გიორგის განათლების ცენზის პირველდაწყებითი უმაღლეს სასწავლებლით განისაზღვრებოდა და ქარხანაში პირველათ დღიურ მუშათ იყო მიღებული, მხოლოდ შემდეგ გავლენიან პირის დახმარებით განყოფილების უფროსათ დაინიშნა და ქარხანის გამგეობის წინაშე მუშებისადმი მკაცრ მოქმედების გამო ნდობა დაიმსახურა და ერთგულობის მოწმობაც მიიღო. თვით მუშებს კი გიორგი დასანახავათაც ეჯავრებოდა, სამაგიეროთ ხაზეინს უყვარდა და კიდევ წინ წაწევას ელოდა.

—ჩემი საქმე კარგათ მიდის, ჯამგირს მიმატებენ და დღეს თუ ხვალ შესაძლებელია კიდევ უფრო დაწინაურდეს.. ფიქრობდა გიორგი და რადგანაც ასეთი მიზანი ქონდა მისი სისრულეში მოყვანა მოითხოვდა მუშების შევიწროებას, ამიტომ გიორგი მუშებს აჯარიმებდა, ადგილიდან ითხოვდა, ხაზეინთან აბეზღებდა, ზედმეტ ამუშავებდა.

მუშები კი ხშირად გაიძახოდენ:

—გიორგი რომ არ გვაწვალებდეს, ხაზეინი გულკეთილი კაცია. ხაზეინს მუშები არც კი იცნობდენ, რადგანაც ბაითოვი იშვიათი სტუმარი იყო ქარხანაში. ქარხნის საქმეებს განგებდენ სპეციალური პირები. თვით მუშებთან დაახლოვებული იყვენ საშუალო და დაბალი უფროსები და მუშებიც მათ სახავდენ მტრებათ **ა. ეუეისპირელი.**

გაგრძელება იქნება.

ჩვენი ცხოვრების ისტორიის მასალები

ირ. ეგდოშვილის წერილები ტროფიმე ინასარიძესთან.

კვემორე მოყვანილი წერილი, როგორც კონვერტის ბეჭედიდან სჩანს, დაწერილია 1896 იანვრის 3, თამარის სურათიან ფოსტის ქაღალდზე მეორე. წერილს შემდეგ დავბეჭდავთ. რედ.

„მე ვერა ვპოვე ნუნ მეგობარი,
რომ ვაამენო ჩემი სულის კვეთება,
და სულის ტკბენვა, სევდა და დარდი
გულში აღძრული, გულშივე რჩება!.“

ძმაო ტროფიმ! მივიღე შენი წერილი. თუ აქნობამდის ვერ მოგიწერე წერილი ეს ერთის მხრივ ჩემი ბრალიც არის, მაგრამ მეორეს მხრივ, დამაბრკოლებელი მიზეზი წერა-კითვის გამ. საზოგადოების კანცელარია (მდივნობა) იყო. იგი შობის დღეს და იმის შემდეგ რამდენიმე დღე დაკეტილი იყო. მე-კი მინდოდა, შენთვის და სიმონისთვის ერთათ მომეწერა წერილი. „ივერიასა“ ნასვვარ ფასად გიოხობენ, გზავნე კორესპონდენციები. ხვალ ავალ რედაქციაში და თუ არ მოგდის „ივერია“ ვეტევი კამოგიგზავნიან.

მე რაც მაინდამ ჩამოვედ ვერა ვარ კარგათ. მომეტებულ დროს ვწევარ ბუდი მტკივა და წელი. რატო არას იწერები, მაგ ფასტალიონს ხომ არა ავნო რა ჩემმა წამოყვანამ? პირველ სადგურზედ ტოტა უსიამოვნობა მოუხდა. აქსტაფაში ისე მოშშორდა, რომ ვედარ მოვასწარ ვერც მადლობის გადახდა და ვერც სხვა კვარ პატივისცემა. ბოდიში მოიხადე. თქვენ მგონი „კვალის“ გამოწერას აპირებდით. „კვალი“ ამ წელს კრიშათ ადარ ეღირება, უკეთესმა მისმა თანამშრომლებმა, როგორც მაგალითად ნოე ჟორდანიამ, სამზდვარ გარეთელმა და სხვათა მიატოვეს ეს ორგანო, რადგანაც გიორგი წერეთელმა არ ინება „კვალისთვის“ მოდათ, წმინდათ მიეცა ის მიმართულება, რომელსაც ზემორე მოყვანილნი პირნი და მათნი მომხრენი ადიარებენ. ძალიან კარგს იზამ თუ არც თქვენ და არც სხვას გამოაწერინებთ ამ ჟურნალს. ნახა გ. წერეთელს ხელის მომწერლები მოაკლდება, მერე ძალა უნებურად დასთანხმდება და სიქმე ისე მოუწყობა, როგორც უნდათ ხსენებულ ახალგაზდათა სიმპატიურ გუნდს. ვერაფერმა ვერ გასჯრა გ. წერეთელზედ და ახლა ასე განვიზრახეთ გიმოქმედოთ მაზედ და იმედიც არის სურვილს მივიხწევთ. ჩემი დექსების გამოცემა ზოგიერთ ჩემ შეგობართ დამიშალეს, გაი თუ სიზოგადოებამ სულ სხვა თვალით შეხედოს და დამწამონ, რომ ახალგაზდა მგონსანს დიდი შეხედულება ჰქონია თავის თავზედ რომ ასე აჩქარებულა თავისი დექსების გამოცემასაო. ამ მოსაზრებით მეც მინდა ცოტა კიდევ მოვიცადო. ვეცდები მალე დაგიბრუნოთ ფული შენცა და სიმონისაც. ადგილი ჯერჯერობით ვერა ვიშოვერა.

ამ წერილთან ერთად სიმხნისაცა ვწერ. მოიკითხეთ არჩილს და გიორგის. მართლა, ახალწლის მოდოცვა-კი დამავიწყდა:

მოგილოცავ ახალ წელსა
გიო, არჩილ და ტროფიმე,
ვისურვებ, რომ დაამარცხოთ
ეს ცხოვრება უღელ-მძიმე.

მშვიდობით შენი ძმა და მეგობარი ირადიონ ხასიტაშ.

სახალხო თეატრის ისტორია

(მასალები)

არაქსიანის შემდეგ თეატრი გიორგი ასლამაზოვმა აიღო. მოინდომა თითონვე ქართული წარმოდგენების დადგმა, მიიწვია ძველი სცენის მოყვარეთაგან რამდენიმე პირი. გარეთ დარჩენილ ძველ სცენის მოყვარეებს ეს არ მოეწონათ, მათაც მოინდომეს ერთათ შეგროვება და წარმოდგენების გამართვა. აიღეს დღეები, და ასე ორთავენი ცალცალკე მართავდენ წარმოდგენებს, ერთმანეთის გაჯიბრებულნი.

პირველის მოთავენი იყვნენ დათიკო ჩარკვიანი, რევაზოვი და სხ. მეორეში გ. ფირუმიანი, ბალაშვილი, სალაყაია და სხ. ამ ხანებში ორთავე დასს მოემატნენ ქ-ნი მარგველაშვილი, შალამბერიძე, ბ-ნი სერგო პეპანოვი, გომელაური, ასათიანი, დავიდოვი, სულთანოვი და სხ. ხან გამოშვებით ეხმარებოდნენ ნიკო გოცირიძე და ჯაბაური. პირველმა სცენის მოყვარეებმა მოიწვიეს ანტრაკტებში დასაკრავათ გიტარა-მანდალინისტთა გუნდი მანუკიანის ლოტბარობით, ხოლო მეორეში გეურქ ფირუმიანმა და ივანე მარკოზოვმა 25 კაცისგან შემდგარი თარის და ჭიანურთა დამკვრელთა გუნდი, ანტონ მაილიანცის ლოტბარობით. პირველნი მართავდნენ მარტო ქართულ წარმოდგენებს, მეორენი ქართულ—სომხურს ძველებურად.

პირველმა ამხანაგობამ მალე შესწყვიტა თავისი მოქმედება და ძველი სცენის მოყვარენი ისევ მეორე ამხანაგობას შეუერთდნენ და ერთად განაგრძეს მუშაობა.

რამდენიმე ხნის შემდეგ გამოჩნდნენ კიდევ სხვა სცენის მოყვარენი უფრო ბიუბუქები, რომლების გამართულ წარმოდგენებმა ხელოვნება ძირს დასცეს: ხალხი შემოაფრთხეს თეატრს ხელში გაყიდული ბილეთებით, დროც ხელს უწყობდათ, აირია მონასტერი. ძველი სცენის მოყვარენი ეწინააღმდეგებოდნენ ამ გვარ წარმოდგენებს, მაგრამ ვერა გააწყვეს რა. ასლამაზოვმაც ხელი აიღო იჯარადრობაზე და თეატრი ხელმეორეთ დაიკეტა 1908 წ.

ისევ ამავე წელს, ეს თეატრი იჯარით აიღეს ქ-მა ადამიანცმა და ბ-ნ ავეტიანმა. ახლად შეგროვდა და შესდგა ამხანაგობა. ამოირჩიეს გამგეობაში ფირუმიანი, სერგო პეპანოვი, დარჩია, მირველოვი, სალაყაია და ბაჯიაშვილი. მოიწვიეს რეჟისორათ მსახიობი ურუშაძე და პირველი წარმოდგენა დაიდგა 21 ქრისტესშობას—„სამხედრო ბანაკში“ სცენის მოყვარეებს მოემატა მიშა ინაშვილი. დანარჩენები ისევ ძველები იყვნენ, მხოლოდ მათ ეხმარებოდათ ახალგაზრდა მსახიობი ვიქტორ მატარაძე. დასდგეს მეორე წარმოდგენაც, და მას მერე თეატრი დაიწო 1909 წ. ხელახლა გაიხსნა! მოიჯარადრედ იყო ამო ხარაზიანი, თეატრს დაერქვა „ახალი დრამა“ ამხანაგობა კვლავ შეგროვდა და განაგრძო თვისი მოქმედება, თომა ნასიძეს გამგეობით დაიდგა 16 წარმოდგენა. სცენის მოყვარეთა რიცხვს მიემატენ ქ-ნი კავთელი, ფეიქაროვი, ფარხანიანი და გორელი. კაცებში: გრიშაშვილი, მენთეშოვი. და კორძაია.

რეჟისორათ მოწვეული იყო კოტე ყიფიანი, მერე სოსო ივანიძე. მის თანაშემწედ რომანოზ სალაყაია. ამ წარმოდგენათა რიცხვში 6 დეკემბერს გადახდილ იქმნა განსვენებული გაბუნია—ცაგარელის იუბილეი, ეს წარმოდგენებიც ზარალით თავდებოდა, თეატრში სიცივე იყო, ხარაზიანი ქართულ წარმოდგენებს ყურს არ უგდებდა, რაც საჭირო იყო სცენაზედ ხელს არაფრით უწყობდა.

ყველა ამ ამბების შემდეგ ამხანაგობამ წარმოდგენები შესწყვიტა და ხარაზიანცის საქციელიც გაზეთის ფურცელზედ გამოაქვეყნა. ასეთი იყო ყოფილ არაქსიანის თეატრის თავ ადასავალი.

გიორგი ჯაბაური.

პოლონელთა სახლში

ᲙᲕᲘᲠᲐᲡ, 4 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ

თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა **მომღერალ-მგალობელმა** გუნდმა ბ-ნ გრ. ქურთიშვილის ლოტბარობით **გამართა** კონცერტი. სიმღერები იგინიგე იყო, რომელნიც არა ერთხელ შეუსრულებიათ ბ-ნ მ. კავსაძისა და სხვათა გუნდებს, ახალი თითქმის არაფერი, რაიცა დიდად სამწუხაროა.

გუნდი საკონცერტოდ ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲕᲔᲠ არის **მომზადებული. ბ-ნ** გ. ქურთიშვილს ეტყობა ნიჭი აქვს და ხმაც ხელს უწყობს, თუმცა ხმა ᲯᲔᲠ კიდევ რიგიანად არა აქვს დამუშავებული. არ არიან შესაფერი ძალები და ამიტომაც კონცერტმა სუსტად ჩაიარა. საშუალოდ იქმნა შესრულებული მხოლოდ „მარსელიოზა", ჩემო კარგო ქვეყანავ" და „თამარის დროშა". არა უშავდარა აგრეთვე ბ-ნს ქურთიშვილს „სოფლელი გლეხის შვილი ვარ"-ის შესრულების დროს, მხოლოდ უმᲯობესი იქმნებოდა ფეხზე არ მდგარიყო, რადგანაც ღამე იყო და სხვა გლეხები წამოწოლილნი იყვნენ, კარგები იყვნენ ბ-ნი მათე იანქოშვილი და გარ. ბალინოვი. ბ-მა მათე იანქოშვილმა ძალიან გაამხიარულა საზოგადოება კომიკური სიმღერებით, ბ-ნმა გ. ბალინოვმა კარგად შეასრულა შიქასტები თარზედ.

ძალიან ცუდია **რ**ოდესაც მომღერალი თავისუფფლად არა სდგას, რაიცა უშლის ხმის თავისუფლად მოძრაობას. რავდენიმე მომღერალს ემჩნეოდა ეს ნაკლი.

დასასრულ ვუსურვებ ბ-ნ ქურთიშვილს გუნდის კარგად მომზადებას **და** კონცერტების ისე გამართვას.

ალ. იასაღაშვილი

ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

ქართველთა **სამხედრო** კავშირისა **მოუწოდებს** ყველა **ქართველ** მეომარს (ᲯᲐᲠᲘᲡ ᲙᲐᲪᲔᲑᲡ, ოფიცრებს სამხ. ექიმებს) ჩაეწერონ აღნიშნულ კავშირში, **რომლის** მიზანია **რუ**სეთს **რევოლიუციის** ხელის **შეწყობა** და **საქართველოს** ავტონომია. **კომიტეტის** ბინა **მოთავსებ**ულია ახალ **კლუბის** შენობაში (**სا**სახლის **ქუჩა**) ცნობის **მიღება** შეიძლება. **„ᲯᲐᲠᲘᲡ ᲙᲐᲪᲘᲡ"** რედაქციაში **დილის 10—2** **საათამდე** და **სალამ ს 7—8-დე.**

კომიტეტი ქ. ს. კ.

რედაქტორ-გამომგ. ᲘᲝᲡᲔᲑ ᲘᲛᲔᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

სასახლის ქუჩა
თავად-აზნ. სახლი

„ერთად ერთ რესტორან **„კაფე პარიზს"** საზაფხულოდ **აქვს ბაღი**, სადაც სუფთა ჰაერზე შეიძლება **საუზმის, სადილის** და **ვახშმის** მირთმევა, არის ცალკე ფანჩატურები და **კაბინეტები. სანოვაგე საუკეთესო ღირსებისაა**

პატივისცემით სილ. გიგიბერია

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲚᲣᲑᲘ 1 ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲣᲐᲠᲘᲡ 23 30

ᲨᲘᲠᲐ—რუსული წარმოდგენა. ბილეთ 50-30 კ.

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50

ᲒᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ—საოჯახო სალამო

ᲝᲗᲮᲨᲐᲑ.—სინემატოგრაფი. სიმებ. ორკ.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑ.—ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙ.—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დე

ᲐᲑ.—საოჯახო სალამო

„თეატრი დ ცხოვრება"

პრემიით წლიურად ღირს 8 მ., ნახევარი წლით 4 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება თბილისში „სორაპანის" სტამბის კანტორაში მადათოვის კუნძ № 1, ფოსტით: **Тифлис, ред. „Театри да Цховреба"— Іос. Имедашвили.**

სტამბა „სორაპანი"